Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#20, იანვარი, 2022

რბილი და მყარი ევროსკეპტიციზმის შედარებითი ანალიზი „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და „კანონი და სამართლის“ მაგალითზე

პაატა ახალკაცი

თენგიზ ჯანანაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail - paata.akhalkatsi928@sps.tsu.edu.ge

E-mail - tengiz.jananashvili340@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ტერმინი ევროსკეპტიციზმი ზოგადი და არაერთგვაროვანია. ამ სიტყვაში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ევროკავშირის პოლიტიკის გარკვეული ასპექტების უარყოფა, ისე ქვეყნის სრული გასვლა აღნიშნული ორგანიზაციიდან. მოცემული კვლევა ეძღვნება პარტიული ევროსკეპტიციზმის შესწავლას ევროკავშირის წევრი ორი ქვეყნის პოპულარული პოლიტიკური პარტიის მაგალითზე, ესენია: პოლონური "კანონი და სამართალი" და გერმანული "ალტერნატივა გერმანიისთვის". კვლევის მიზანია შევისწავლოთ ევროსკეპტიციზმის მთავარი თეორიები და ამ თეორიების ფონზე ერთმანეთს შევადაროთ ორი პარტიის ევროსკეპტიციზმი. ნაშრომის აქტუალობიდან და მიზნებიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვა შემდეგია: რა ძირითადი მსგავსება/განსხვავებები არსებობს პარტიების- "კანონი და სამართლი" და "ალტერნატივა გერმანიისთვის" ევროსკეპტიციზმს შორის? ევროსკეპტიციზმის მრავალი თეორიებიდან, ყველაზე მარტივი და გავრცელებულია რ. ტაგარტისა და ა. შჩერბიანკის კონცეფცია, რომელიც გამოყოფს "რბილ" და "მყარ" ევროსკეპტიციზმს. აღნიშნული ტიპოლოგია კარგად ესადაგება საკვლევ ორ პარტიას. მიუხედავად იმისა, რომ "კანონი და სამართალის" და "ალტერნატივა გერმანიისთვის" პოზიცია მთელი რიგი საკითხის მიმართ ემთხვევა (მიგრაცია, ევრო, ანტიფედერაცია), პოლიტიკური პარტიების ევროსკეპტიციზმი სრულიად განსხვავებულია.

საკვანძო სიტყვები: ევროსკეპტიციზმი, ევროკავშირი, "კანონი და სამართალი", "ალტერნატივა გერმანიისთვის".

შესავალი

ევროპული ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობები ღრმა ცვლილებებს განიცდის. ევროსკეპტიციზმი დღეს პოპულარულია ისე, როგორც არასოდეს. წლიდან წლამდე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ჩნდება ახალი და ფართოვდება ძველი ევროსკეპტიკული პარტიები. საპარლამენტო, რეგიონალურ და ევროპარლამენტის არჩევნებში აღნიშნული პარტიები დიდ წარმატებებს აღწევენ. რაც შესაძლოა მომასწავებელი იყოს იმისა, რომ პოლიტიკური „ლანდშაფტი" გარკვეულწილად ახლებური ფორმაციის გზას დაადგა, რაც სამომავლო პერსპექტივაში უამრავი ქვეყნის პოლიტიკური რეალობის ცვლილებას გამოიწვევს, შესაბამისად აღნიშნული საკითხის ძირეული შესწავლისთვის საჭიროა ევროსკეპტიციზმის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა, ევროსკეპტიკულად განწყობილი პარტიების ერთმანეთთან შედარება, რადგან მათი პოლიტიკური ხედვა განსხვავებულია, ზოგიერთის პოზიცია ევროინტეგრაციის მიმართ უხეში და რადიკალურია, ზოგის კი რბილი და ზომიერია. ევროსკეპტიკული პარტიების გრძელი სიიდან გამოსარჩევია „კანონი და სამართალი"(პოლონეთი) და „ალტერნატივა გერმანიისთვის"(გფრ),რომლებმაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში წარმატებას მიაღწიეს, რაშიც იგულისხმება ის რომ საკანონმდებლო და რეგიონალურ ორგანოებში მანდატების დიდი რაოდენობა მოიპოვეს (ecrgroup.eu, 2022).

“ალტერნატივა გერმანიისთვის” 2013 წელს შეიქმნა და სულ მალე 2017 წლის საპარლამენტო არჩევნებში დიდ წარმატებას მიაღწია, რადგან ასე მოკლე დროში მესამე ადგილი დაიკავა. მართალია, ბუნდესტაგის არჩევნებში მან მნიშვნელოვნად დაკარგა მანდატების რაოდენობა, თუმცა გერმანიაში იგი მაინც ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და მსხვილ პარტიად რჩება. (AfD, 2021) პოლონური “კანონი და სამართალი” უფრო ადრე დაფუძნდა. 2001 წლიდანვე მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა, დღესდღეობით კი გავლენამ საერთოდაც პიკს მიაღწია. “კანონი და სამართალს” პარლამენტის ქვედა პალატის თითქმის ნახევარი უკავია. პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ვიცე პრემიერი ამ პარტიის წევრები არიან (Britannica, 2022). გარდა პოპულარობისა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთი პარტია დასავლეთ ევროპის ქვეყანაშია, ხოლო მეორე - აღმოსავლეთ-ცენტრალურის. ამ ყველაფერს ისიც ემატება რომ გერმანია ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელია, ამიტომაც უფრო საინტერესოა მისი პოლიტიკური პარტიის ევროსკეპტიციზმის განხილვა. რაც შეეხება პოლონეთს, იგი უფრო გვიან, 2004 წლიდან შეუერთდა ორგანიზაციას, თუმცა მისი როლი ფუნქციონირების პროცესში დიდია. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩა აღნიშნული ორი პარტია. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ პარტიების საარჩევნო პროგრამები და ღირებულებები მკაფიო და დახვეწილია, რაც სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ამიტომ, ახლა როცა ევროსკეპტიკულად განწყობილი პოლიტიკური პარტიების ზრდა თვალშისაცემია საჭიროება დგება იმისა, რომ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას ყველაზე წარმატებული ევროსკეპტიკული პოლიტიკური პარტიების (ვგულისხმობ „ალტერნატივა გერმანიისთვისა“ და „კანონი და სამართალი“) ევროსკეპტიციზმისადმი დამოკიდებულება, შემდგომ კი ამ დამოკიდებულებების ერთმანეთთან შედარება, რათა ნათელი გახდეს რა მსგავსება და განსხვავება არსებობს ევროსკეპტიციზმის მიმართ თავად ევროსკეპტიკულ პარტიებშიც კი. შემდეგ კი ანალიზის საფუძველზე მოხერხდეს მათ რბილ და მყარ ევროსკეპტიკულ ბანაკში მიკუთვნებულობა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ევროსკეპტიციზმის განსაზღვრება და კლასიფიკაცია

ტერმინი ევროსკეპტიციზმი დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციას განიცდიდა და მისი განმარტება სხვადასხვა ფორმით წარმოგვიდგებოდა. თუ 1980-იან წლებში მარგარეტ ტეტჩერის მიერ შემოთავაზებული პირველი განმარტება აბსოლიტურ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, ეს 1990-იანი წლებიდან იცვლება, რადგან ევროსკეპტიციზმში დიდი ბრიტანეთის განსაკუთრებული პოზიცია ევროპის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციის საკითხებში კი აღარ იგულისხმება (Apodaca, 2013) არამედ მოიაზრება, როგორც მოქალაქეების გარკვეული ნაწილისა და პოლიტიკური პარტიების იმედგაცრუება ერთიანი ევროპროექტის შედეგებით, ისე მოქალაქეების მხრიდან პროტესტი ერთიანი ევროპისა და "ბრიუსელის ბიუროკრატიის" დომინირებაზე, რომელსაც თან ახლავს ნეგატიური დამოკიდებულება ევროკავშირის გაფართოების მიმართ (Torreblanca & Leonard ,

2013). დღესდღეობით ევროსკეპტიკოსები უმთავრესად უარყოფენ ორგანიზაციის გარკვეულ ასპექტებს. ესენია: საერთო ვალუტა, ერთიანი კონსტიტუცია, ზესახელმწიფო ინსტიტუტები და ევროკავშირის ფედერალიზაცია. ხშირად ევროსკეპტიკოსები მხარს უჭერენ ეროვნულ სახელმწიფოსა და მის სუვერენიტეტს, მიაჩნიათ, რომ ინტეგრაციის გაგრძელება საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობას. ზოგადად ტერმინი ევროსკეპტიციზმი მრავალ განზომილებიანია, რის გამოც იგი საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩვენი მიზანია შევისწავლოთ მხოლოდ პარტიული ევროსკეპტიციზმი, კონკრეტული ორი პოლიტიკური პარტიის „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და „კანონი და სამართლის“ მაგალითზე. შესაძლოა ევროსკეპტიციზმთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი თეორიები და საკითხები, თუმცა ისინი ჩვენი კვლევის საგანი არ არის. მაგალითად, პარტიულ ევროსკეპტიციზმთან ერთად რომ შეგვესწავლა საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმიც, თემა იქნებოდა უსასრულოდ დიდი და არასრულყოფილი, რადგან საკითხის განზოგადებული სახე კვლევის შედეგამდე წარმატებით მისვლის შესაძლებლობას არ მოგვცემდა, ამიტომაც შევისწავლეთ და ვიკვლიეთ ევროსკეპტიციზმის მხოლოდ ის განზომილება, რომელიც ჩვენი კვლევის მთავარი საფუძველი იყო.

რაც შეეხება გამოყენებულ ლიტერატურას, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მიმოვიხილეთ არაერთი ავტორის ნაშრომი, რომელშიც ისინი გვთავაზობდნენ საკუთარ კლასიფიკაციას. ავტორთა სიმრავლიდან და ევროსკეპტიციზმის მრავალი კლასიფიკაციიდან გამომდინარე რთული აღმოჩნდა კონკრეტული ავტორების ნაშრომებზე დაყრდნობა, თუმცა მიუხედავად ამისა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ავტორი და მისი კლასიფიკაციის გამოყოფა მაინც შევძელით, რომელთა მიერ შემუშავებული თეორიები, ნამდვილად დაგვეხმარა კვლევის წარმართვაში. დასაწყისშივე გაგაცნობთ იმ ავტორებს, რომელთა მიერ შექმნილ კლასიფიკაციასაც ეფუძნება ჩვენი კვლევა. ესენი არიან რ. ტაგარტი და ა. შჩერბიაკი. მათი კონცეფცია ჩვენ საკვლევ კითხვაზე სრულყოფილად პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა. პროფესორები გამოყოფენ "რბილ" და "მყარ" ევროსკეპტიციზმს. თავდაპირველად ასეთი კლასიფიკაცია მიზნად ისახავდა ევროპული პარტიულ-პოლიტიკური ლანდშაფტის სტრუქტურირებას ევროინტეგრაციის საკითხში, თუმცა აღმოჩნდა რომ იგი გამოყენებადია საზოგადოებრივი შეხედულებების ტიპოლოგიზაციისთვისაც. (Taggart & Szczerbiak , 2001) რბილ ევროსკეპტიციზმში იგულისხმება საერთო ევროპული პოლიტიკის გარკვეული ასპექტების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება, "ნაწილობრივი ოპოზიცია" ორგანიზაციის მიმართ, ანდა გრძნობა იმისა, რომ "ევროკავშირის განვითარების ტრაექტორია" არ შეესაბამება ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. რბილი ევროსკეპტიკოსები არ ემხრობიან ევროკავშირის დატოვებას და არც შემდეგი ინტეგრაციის მიმართ ავლენენ სიმპათიას. თუმცა, ღიად უარყოფენ ევროკავშირის გარკვეულ ასპექტებს (ზოგი მიგრაციას არ ემხრობა, ზოგი ევროს, ზოგი ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკას) და ცვლილებებს მოითხოვენ. მყარი ევროსკეპტიციზმი განისაზღვრება როგორც ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის მიმართ "პრინციპული ოპოზიცია". იგი აერთიანებს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც თვლიან, რომ მათმა ქვეყანამ უნდა დატოვოს ევროკავშირი. ასევე პარტიებს, რომლებიც ახორციელებენ ევროინტეგრაციის თანამედროვე სახის პროექტის

მიუღებლობის პოლიტიკას. მყარი ევროსკეპტიკოსების რადიკალური პოზიცია ეფუძნება რწმენას, რომ ევროკავშირი არსებითად "უარყოფითი ღირებულებების განსახიერებაა". ისინი ეწინააღმდეგებიან ევროინტეგრაციის ნებისმიერ ფორმას, რაშიც მოიაზრება როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ასპექტები. (Taggart & Szczerbiak , 2001) (Taggart & Szczerbiak , 2002)

აგრეთვე ძალიან საინტერესო კლასიფიკაციას გვთავაზობენ ჰოლანდიელი პოლიტოლოგები პ. კოპეცკი და კ. მუდე. ევროსკეპტიციზმის მათი კონცეფცია ეფუძნება ორ განზომილებას, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიების პოზიციას ევროპული ინტეგრაციის მიმართ. პირველი განზომილება ასახავს პარტიების იდეოლოგიურ დამოკიდებულებას ევროინტეგრაციისადმი, რის საფუძველზეც გამოიყოფიან ევროფილები და ევროფობები. ევროფილები მხარს უჭერენ ევროპის გაერთიანებას, რომელიც ეფუძნება დემოკრატიისა და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. ევროფობები კი (როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენეები) აკრიტიკებენ ევროკავშირს ან საერთოდ უარყოფენ ევროინტეგრაციას. მეორე განზომილება არის სტრატეგიული, მასში იგულისხმება ევროინტეგრაციიდან მიღებილი სარგებლიანობა. შესაბამისად, გამოიყოფიან ევროოპტიმისტები და ევროპესიმისტები. ევროოპტიმისტები სიმპათიით არიან განწყობილნი ევროკავშირის იდეის მიმართ და მხარს უჭერენ მის განვიათარებას. ევროპესიმისტები კი პირიქით არ უჭერენ მხარს ევროინტეგრაციის თანამედროვე სახეს და უარყოფენ ევროკავშირის ხელმძღვანელობის მიერ შემოთავაზებულ პერსპექტივებს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული განწყობის მქონე პოლიტიკური პარტიები მიზნად ისახავენ ევროკავშირიდან სრულ გასვლას (Kopecky & Mudde , 2002)

აღნიშნულ კლასიფიკაციას თქვენ ცხრილის მატრიცაში ხედავთ:

	ევროფილები	ევროფობები
ევროოპტიმისტები	ევროენთუზიასტები	ევროპრაგმატიკოსები
ევროპესიმისტები	ევროსკეპტიკოსები	ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგეები

ცხრილი #1 (წყარო: საკუთრი)

საბოლოოდ, კოპეცკისა და მუდეს კლასიფიკაციაზე დაყრდნობით გამოიყოფა: 1)ევროენთუზიასტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი საუკეთესო ინსტრუმენტია თავისი ევროპული იდეების განსახორციელებლად. 2)ევროსკეპტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერენ ევროკავშირს როგორც იდეას, თუმცა კრიტიკულად აფასებენ ორგანიზაციის დღევანდელ ფორმას და მის მომავალ განვითარებას. 3)ევროპრაგმატიკოსები, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ზუსტი პოზიცია ევროინტეგრაციის მიმართ, ისინი ევროენთუზიასტების მსგავსად არ უჭერენ მხარს

ევროპულ პროექტს, თუმცა არც ევროფობების მსგავსად აკრიტიკებენ მას. ევროპრაგმატიკოსები აკრიტიკებენ ევროპული იდეის საფუძველს თუმცა მიუხედავად ყველაფრისა ხშირად ცვლიან თავის პოზიციასა და ხედვას ქვეყნის ან პარტიის ინტერესების სასარგებლოდ. და ბოლოს 4)ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგეები, რომლებიც ყველაზე რადიკალური პოზიციის მქონენი არიან, რადგან არამარტო უარყოფენ ინტეგრაციის პროცესს, არამედ თავიანთი ქვეყნების ევროკავშირიდან გაყვანასაც ისახავენ მიზნად (Kopecky & Mudde , 2002). კოპეცკისა და მუდეს კლასიფიკაცია ტაგარტისა და შჩერბიანკის კლასიფიკაციისგან განსხვავებულია. ისინი თითქოს ცდილობენ პარტიული ევროსკეპტიციზმის და არა მარტო პარტიული, არამედ ზოგადად ევროსკეპტიციზმის კვლევაში სიახლეების შემოტანას, თუმცა სწორედ აქ იჩენს პრობლემა თავს, რადგან მათ მიერ შემუშავებული კონცეფციის განზომილებებში შეინიშნება ნაკლოვანება, რაც კარგად ჩანს მაშინ, როდესაც ავტორები მიმართავენ იმგვარ დაშვებას, სადაც ევროპრაგმატული პოლიტიკური პარტიები ერთდროულად ეწინააღმდეგებიან ევროინტეგრაციას როგორც პროექტს და მხარს უჭერენ მის ამჟამინდელ ტრაექტორიას (Kaniok, 2009). ეს ურთიერთგამომრიცხავი დაშვებები კლასიფიკაციის არასრულყოფილების მაჩვენებელია, ამიტომ ვარჩიეთ ტაგარტისა და შჩერბიაკის კლასიფიკაციაზე დაყრდნობა.

ასევე მნიშვნელოვანია კრისტოფერ ფლადი, რომელიც გამოყოფს ევროსკეპტიციზმის სამ ფორმას (Flood, 2002): პირველი - ზომიერი ევროსკეპტიციზმი, რაც გულისხმობს, რომ ევროინტეგრაციამ თავის ფარგლებს მიაღწია და მომდევნო განვითარება უნდა შეჩერდეს, მეორე - მყარი (უხეში) ევროსკეპტიციზმი, რომლის მომხრეების აზრითაც ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია ძალიან შორს წავიდა და უნდა დაუბრუნდეს მაასტრიხტის ხელშეკრულების ფარგლებს და მესამე - რადიკალური ევროსკეპტიციზმი, მისი მომხრეების პოზიცია არის ანტიინტეგრაციული, რადგან მათთვის მიუღებელია ევროკავშირში წევრობა. თუმცა ამ შემთხვევაშიც ვაწყდებით სირთულეს კოპეცკისა და მუდეს კლასიფიკაციის მსგავსად. პრობლემა არის ის რომ რთულია განსაზღვრო ზომიერი ევროსკეპტიციზმი. ტაგარტთან და შჩერბიაკთან მკაფიო ზღვარი რბილ და მყარ ევროსკეპტიციზმს შორის ყველაზე კარგად შეინიშნება, ფლადთან კი არა. ის ცდილობს ამგვარმა ზღვარმა თავის კლასიფიკაციაშიც იარსებოს, თუმცა ვერ ახერხებს რადგან დამატებით შემოაქვს ზომიერი ევროსკეპტიციზმის ცნება, რომლის განსაზღვრაც ჩვენ მიერ აღებული პოლიტიკური პარტიების ფონზე თითქმის შეუძლებელია. შესაბამისად ფლადის კლასიფიკაცია ჩვენ კვლევას ობიექტურად არ შეესაბამება.

არის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორი, პეტრ კანიოკი, რომელიც თავის ნაშრომში ცდილოს ზოგადად ევროსკეპტიციზმზე, განსაკუთრებით კი პარტიული ევროსკეპტიციზმის კვლევის მიმართულებით უკვე ყველასათვის ცნობადი ავტორების კლასიფიკაციების მოკლე მიმოხილვას, შემდგომ კი საუბრობს მათ განახლებულ სახეზე, რადგან არსებული კლასიფიკაციები ნამდვლად შეიცავენ გარკვეულ ხარვეზებს. იგი მთავრ კლასიფიკაციად მაინც ტაგარტისა და შჩერბიანკისას მიიჩნევს, თუმცა არც მას თვლის სრულყოფილად. აგრეთვე განიხილავს ფლადის, კოპეცკისა და მუდეს შეხედულებებს რის შედეგადაც ხარვეზებთან დაკავშირებით გამოაქვს ის დასკვნები რაზეც ჩვენ

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. აგრეთვე მიმოიხილავს ნიკოლო კონტის ნაშრომსაც (Conti, 2012), თუმცა ამბობს რომ იგი ტაგარტისა და შჩერბიაკის კონცეფციაზეა დაშენებული, რადგან მისი აზრით კონტი ამ ავტორების ორიგინალური განმარტებებით ხელმძღვანელობს. (Kaniok, 2009)

ბოლო დროს, ევროსკეპტიციზმი ქართველი პოლიტიკის მეცნიერების საკვლევი თემა არაერთხელ გახდა. ეს განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ბევრი ახალი ევროსკეპტიკული პარტია გაჩნდა. ჩვენ ვიცნობთ ს. ტაბატაძის, ს. კანდელაკისა და გ. სილაგაძის ნაშრომებს. ქართველი ავტორები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ და იკვლევენ ქართული პარტიების ევროკსკეპტიციზმს, ასევე მათ პრორუსულ პოზიციას. მაგალითისთვის ს.კანდელაკი თავის საკვლევ ნაშრომში იკვლევს ეცვროსკეპტიციზმის თეორიებზე დაყრდნობით სამ ქართულ ულტრამემარჯვენე პარტიას, მათ რიტორიკასა და კავშირს რელიგიასთან (კანდელაკი, 2021). გ.სილაგაძე იკვლევს კავშირს ევროსკეპტიციზმსა და პრორუსულობას შორის. ავტორი ამტკიცებს, რომ ქართულ რეალობაში ევროსკეპტიციზმი ანტიდასავლური პოზიციაა და პრორუსულობას უტოლდება. (Silagadze, 2021) ს.ტაბატაძის სტატიაში კი ვეცნობით, ტაგარტისა და შჩერბიაკის ტიპოლოგიაზე დაყრდნობით გამოკვლეული პოპულარული ქართული პარტიების ევროინტეგრაციისადმი დამოკიდებულებას. (Tabatadze, 2021)

რაც შეეხება კონკრეტულად "კანონი და სამართალს" და "ალტერნატივა გერმანიისთვის", ეს პოლიტიკური პარტიები დაარსებისთანავე პოლიტიკის მეცნიერების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ, რადგან მკვლევრებს აინტერესებდათ თუ როგორ გახდნენ ასეთი პოპულარული, რაზე დგას მათი მხარდაჭერა და რატომ არიან ევროსკეპტიკულნი. შესაბამისად არსებობს არაერთი ავტორი, რომელიც ცდილობს აღნიშნული საკითხების კვლევას. მოკლედ მიმოვიხილოთ რამდენიმე მათგანი. ჩარლზ ლის ყურადღების ცენტრშია პარტია «ალტერნატივა გერმანიისთვის» 2017 წელს დიდი წარმატების მიზეზი და მისი იდეოლოგია. კერძოდ, იგი აღწერს თუ როგორ გავლენას ახდენს პოპულიზმი პარტიის ევროინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე. იგი ელექტორატის გარკვეული ნაწილის მოთხოვნას პასუხობდა. ამ და სხვა ფაქტორების გამო (წარმატებული საარჩევნო კამპანია, რეკლამა და ა. შ.) „ალტერნატივა გერმანიისთვის" პარტიამ 2017 წლის საპარლამენტო არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ პარტიის გავლენის ზრდა მიმდინარეობდა ფინანსური, ეკონომიკური, მიგრაციული და Brexit-ის ფაქტორის ფონზე. (Lees, 2018) ა.გორისი, დ. სპაისი და ს. კამლინი იკვლევენ AfD-ის ელექტორალურ მხარდაჭერას, მის მიზეზებსა და პარტიის იდეოლოგიას. დ.დაკოვსკა კი იკვლევს თუ როგორ მოქმედებს ევროინტეგრაციისადმი დამოკიდებულება პარტიულ კონკურენციაზე. მისი აზრით, პოლონური პარტიის წარმატება დგას პოპულიზმზე, ამომრჩევლების განწყობაზე, რადგან ისინი ამახვილებენ ისეთ თემებზე ყურადღებას როგორიცაა სუვერენიტეტი, ეროვნული ინტერესები, პატრიოტიზმი და სხვა (Dakowska, 2010). რაც შეეხება რ.მარკოვსკისა და ჯ.ტაკერს, მათ შეისწავლეს „კანონი და სამართლის" დაარსების მიზეზები და მისი ელექტორატის დემოგრაფიული მაჩვენებლები, კერძოდ, პარტიის მხარდაჭერთა ასაკი, განათლება, სამუშაო და ა. შ. ავტორები ასკვნიან, რომ 2001 წლისთვის ახალი პარტიების გამოჩენა, მოსახლეობის ევროინტეგრაციისადმი სკეპტიკური განწყობით იყო განპირობებული. (Markowski, 2010)

ევროსკეპტიკული პარტიების კვლევისას ხშირად რთულია განსაზღვრო თუ რომელ ევროსკეპტიკულ ბანაკს ეკუთვნის ესა თუ ის პარტია. ეს ხდება საარჩევნო პროგრამის და პოლიტიკოსების გამონათქვამების საფუძველზე. ამიტომ კვლევა საჭიროებს რაც შეიძლება მარტივი და გასაგები კონცეფციის გამოყენებას, რომელიც არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დაშვებებს და უკეთაც ერგება კვლევის ობიექტებს. სწორედ ამიტომ, პარტიული ევროსკეპტიციზმის კვლევისას გადავწყვიტეთ დაპირისირებული მხარეებიდან, ვგულისხმობ ჩრდილოეთ კაროლინასა და სასექსისი სკოლას, აგვერჩია სასექსის სკოლის შეხედულებები აღნიშნული საკითხების მიმართ, რადგან ვფიქრობთ, რომ მათი მთავარი ძალა არის ვალიდობა, ანუ სიღრმე, დეტალები და გამოცდილება. შესაბამისად, გამოვიყენეთ მათი თეორეტიკოსების რ. ტაგარტისა და ა. შჩერბიაკის კლასიფიკაცია, რომელიც ყველაზე მარტივი და გასაგებია, ამაზე კი ისიც მეტყველებს, რომ იგი ხშირად გამოიყენება აკადემიურ თუ პოლიტიკურ დისკურსში, ასევე ხშირად ციტირებადია მასმედიაშიც და რაც მთავარია ზუსტად შეესაბამება ჩვენ კვლევას. ტაგარტი და შჩერბიანკი ევროსკეპტიციზმის კლასიფიკაციისას რბილ და მყარ ევროსკეპტიციზმს გამოყოფენ, ჩვენი კვლევის მიზანი კი ის არის, რომ მაქსიმალური სიზუსტით განვასხვაოთ „კანონი და სამართლის“ და „ალტერნატივა გერმანიისთვის“ დამახასიათებელი დამოკიდებულება ევროსკეპტიციზმის მიმართ. მართალია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და „კანონი და სამართალი“ ევროსკეპტიკული ხედვის მატარებლები არიან, მაგრამ მათ შორისაც არის დიდი განსხვავება, რასაც კარგად წარმოაჩენს ტაგარტისა და შჩერბიანკის კლასიფიკაცია. ანუ, თუ ჩვენ აღნიშნული პარტიების სარჩევნო პროგრამებსა და მიზნებს განვიხილავთ მათ მიერ შემოთავაზებულ რბილი და მყარი ევროსკეპტიციზმის ჭრილში, მაშინ ნათლად გამოჩნდება ის მსგავსება და განსხვავება, რაც „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და „კანონი და სამართალს“ შორის არსებობს, ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს, კვლევის კითხვას პასუხი გაეცეს საკმაოდ რელევანტურად.

მეთოდოლოგია

პარტიული ევროსკეპტიციზმის შესწავლისას უპირატესობა მივანიჭეთ ევროპული ქვეყნების დასავლეთ და აღმოსავლეთ-ცენტრალურ ბანაკში მყოფ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც პოპულარობასთან ერთად ფლობენ დიდი რაოდენობით ძალაუფლებასაც. სწორედ ამიტომ შევარჩიეთ „კანონი და სამართალი“, რომელიც პოლონეთში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტიაა და „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელიც არანაკლებ როლს თამაშობს გერმანიაში პოლიტიკური ლანდშაპტის ჩამოყალიბების პროცესში. ამით ჩვენ მოგვეცა შესძლებლობა დაგვედგინა ევროპაში არსებული ძლიერი ევროსკეპტიკული პარტიების დამოკიდებულებები ევროსკეპტიციზმის მიმართ, შემდგომ შეგვესწავლა იყო თუ არა მსგავსი კონკრეტულად ამ ორი პარტიის ევროსკეპტიციზმი და თუ არა, მაშინ რა განასხვავებდათ მათ ერთმანეთისაგან. პოლიტიკურ პარტიებს შორის მსგავსება/განსხვავებების დასადგენად და მათ რბილ თუ მყარ ევროსკეპტიკულ ბანაკში მიკუთვნებულობის გასარკვევად ავირჩიეთ პოლ ტაგარტისა და ალექს შჩერბიაკის

კლასიფიკაცია, რადგან ვფიქრობთ, რომ კვლევას ყველაზე უკეთ ეს კლასიფიკაცია შეესაბამება. ჩვენ არ ჩაგვიტარებია სიღრმისეული ინტერვიუ და ზოგადადაც არ მიგვიმართავს მონაცემთა შეგროვების მეთოდისთვის, რადგან დავეყრდენით მხოლოდ მონაცემთა ანალიზის მეთოდს, რაშიც მოვიაზრებთ ევროსკეპტიციზმის თეორიასთან დაკავშირებულ პირველად და მეორეულ სტატიებს და წიგნების მიმოხილვას, პარტიების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებულ პროგრამებსა და მიზნების გაანალიზებას, ბოლო საპარლამენტო საარჩევნო პროგრამების შესწავლას, რომელიც „ალტერნატივა გერმანიისთვის“ წარმოადგენს 2017 და 2021 წლის, ხოლო „კანონისა და სამართალისთვის“ 2019 წლის საპარლამენტო საარჩევნო პროგრამას.

ევროსკეპტიციზმის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები და ბოლო წლების ტენდენცია

ევროსკეპტიციზმი როგორც მოვლენა ევროკავშირის შექმნისთანავე გაჩნდა, თუმცა ტერმინი გვიან შემოვიდა ხმარებაში. XXI საუკუნის დასაწყისიდან ევროსკეპტიკული პარტიების გავლენა ყოველწლიურად იზრდებოდა. ევროსკეპტიკული განწყობების ზრდას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს სამი მთავარი:

ევროკავშირის გაფართოვება - ევროსკეპტიციზმის პირველ ტალღად 2004 წელი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან ამ წელს მოხდა ევროკავშირის ყველაზე დიდი გაფართოვება, ძირითადად აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ქვეყნების ხარჯზე. ამ მოვლენას დიდი უკმაყოფილება მოჰყვა მთელ რიგ წევრ-ქვეყნებში. იმავე პერიოდში განიხილებოდა საერთო კონსტიტუციის შემუშავება, რასაც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ საფრანგეთში, ნიდერლანდებში, დანიაში, პოლონეთსა და გაერთიანებულ სამეფოში. აღნიშნული კრიზისი 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირებით დასრულდა, რომელმაც შეცვალა ევროკავშირის მიზნები და ღირებულებები (Узнародов, 2015)

ეკონომიკური კრიზისი - 2008 წლის საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა მთელ მსოფლიოს, მათ შორის ევროკავშირს. 2011 წელს საბერძნეთი გაკოტრდა და მას მოკავშირეების დახმარება დასჭირდა. გერმანიამ დიდი სესხი გამოყო საბერძნეთის ეკონომიკის გადასარჩენად. ამას გერმანულ საზოგადოებაში უკმაყოფილობა მოჰყვა. ზუსტად ამ პერიოდში გაჩნდა მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ალეტერნატივა გერმანიისთვის“. ჩეხეთის ექს-პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი აღნიშნავდა, რომ ეს არა მარტო ეკონომიკური, არამედ ევროპული საზოგადოების აზროვნების კრიზისი იყო (Serricchio, 2013)

მიგრაციული კრიზისი - 2011 წელს არაბულ გაზაფხულს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მთელი რიგი არეულობა მოჰყვა. რევოლუციის ტალღა შეეხო მაროკოს, ტუნისს, ალჟირს, ეგვიპტეს, ლიბანს, ბაჰრეინს და ა.შ. სირიაში, ლიბიასა და იემენში სამოქალაქო ომებმა იფეთქა. 2013 წელს ევროკავშირში ჩავიდა 550 ათასი ლტოლვილი, 2014 წელს - 780 ათასი, 2015-ში იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობამ 1,3 მილიონს გადააჭარბა (HISTORY, 2018). ევროპაში

მიგრაციული კრიზისის პიკის ფონზე, ევროსკეპტიკულმა პარტიებმა წარმატების მწვერვალს მიაღწიეს. 2014 წელს ევროპარლამენტში მათმა პროცენტულმა წილმა ისტორიულ მაქსიმუმს გადააჭარბა. პოლიტოლოგებმა ამ მოვლენას „პოლიტიკური მიწისძვრა“ უწოდეს. (Stockemer, 2019)



დიაგრამა #1 (წყარო: საკუთარი)

დიაგრამაზე ჩანს თუ როგორ იზრდებოდა ყოველწლიურად ევროსკეპტიკული პარტიების პროცენტული მაჩვენებელი ევროპარლამენტში. ცხრილში მოცემული სტატისტიკა მოიცავს როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ევროსკეპტიკულ ფრაქციებს, ასევე უფრაქციო პარტიებს. ბოლო წლების ევროსკეპტიკული ფრაქციაებია: „იდენტობა და დემოკრატია“, „ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები“ და „გაერთიანებული მემარცხენეები“ (ნაწილობრივ).

კვლევის შედეგი/დისკუსია

"ალტერნატივა გერმანიისთვის" და "კანონი და სამართალი": მსგავსება და განსხვავება

ჩვენი კვლევის საგანია ორი მსხვილი ევროსკეპტიკული პარტიის, „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (გერმ. Alternative für Deutschland – AfD) და „კანონი და სამართალის“(პოლ. Prawo i Sprawiedliwość, PiS) ევროსკეპტიციზმს შორის მსგავსება/განსხვავების დადგენა შედარებითი ანალიზის გამოყენებით. რაც შემდგომში გაამარტივებს მათ „მყარ თუ რბილ“ ევროსკეპტიულ ბანაკში მიკუთვნებულობას.

პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ შეიქმნა 2013 წელს, როგორც ევროსკეპტიკოსების გაერთიანება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ევროს. 2015 წლიდან იგი თავს პოზიციონირებდა, როგორც ანტიისლამური პარტია და მიგრაციული ნაკადების შეჩერებისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას. ოჯახის, კულტურის, დემოგრაფიისა და განათლების საკითხებში პარტიას

კონსერვატული შეხედულებები აქვს, ხოლო ეკონომიკურ პოლიტიკაში - ნეოლიბერალური. 2017 წელს იგი პირველად მოხვდა ბუნდესტაგში და ხმების 12,5 % დააგროვა (Лукке, 2022). პარტია „კანონი და სამართალი“ დაარსდა 2001 წელს, ძმები კაჩინსკების მიერ. მას თავიდანვე ჰქონდა ნაციონალ-კონსერვატული და მემარჯვენე პოპულისტური შეხედულებები. ასევე, პარტია კლერიკალური და ტრადიციონალისტურია. დღესდღეობით „კანონი და სამართალი“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ევროსკეპტიკული პარტიაა. (Britannica, 2022)

	მანდატების რაოდენობა
2001	44/460
2005	155/460
2007	166/460
2011	157/460
2015	217/460
2019	220/460

„კანონისა და სამართლის“ წარმომადგენლობა ქვედა პალატაში წლების მიხედვით

	მანდატების რაოდენობა
2013	0/631
2017	94/709
2021	83/735

„ალტერნატივა გერმანიისთვის“ წარმომადგენლობა ქვედა პალატაში წლების მიხედვით

ცხრილი #2 (წყარო: საკუთარი)

იდეოლოგიური სიახლოვე. „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და „კანონი და სამართალი“ მემარჯვენე პოპულისტური პარტიებია. ორივეს იდეოლოგია ნაციონალ-კონსერვატიული და ტრადიციონალისტურია. მცირე განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პოლონური პარტია შედარებით ზომიერად მემარჯვენეა, ხოლო გერმანული ულტრამემარჯვენეობისკენ იხრება (Chase & Goldenberg, 2019) (Szczerbiak, 2019)

ანტიიმიგრაცია. ორივე პარტია კატეგორიულად ეწინააღმეგება მიგრაციას და საზოგადოებას მოუწოდებს საზღვრების დაცვისკენ. ხშირად პოლიტიკოსები ამასთან დაკავშირებით ხისტ განცხადებებსაც აკეთებენ. 2014-2016 წლებში ისინი ნეგატიურად შეხვდნენ არაბული გაზაფხულის შედეგად აგორებულ მიგრაციულ კრიზისს. ამ პარტიების პოპულარობის პიკი ზუსტად ამავე პერიოდში მოდის. ანტიიმიგრაციულმა რიტორიკამ დიდი როლი ითამაშა ელექტორატზე.

„ალტერნატივა გერმანიის“ ხისტი პოზიცია არის, რომ საზღვრები დაუყოვნებლივ უნდა ჩაიკეტოს, რათა საბოლოოდ დასრულდეს ძირითადად არაკვალიფიციური ადამიანების არალეგალური იმიგრაცია. გერმანიას სჭირდება იმიგრაციის უარყოფითი მაჩვენებელი რამდენიმე წლით. პარტია ისლამიზაციის წინააღმდეგაც გამოდის და ამ რელიგიას საფრთხედ აღიქვამს. თავის პროგრამაში ხაზგასმულია მუსლიმებისა და ისლამიზმიდან მომდინარე ტერორიზმისადმი რადიკალურად ცუდი დამოკიდებულება. აღსანიშნავია ისიც, რომ პარტია ეწინააღმდეგება ორმაგ მოქალაქეობას (AfD, 2021). რაც შეეხება „კანონი და სამართალს“ მათი წევრები მიგრაციული კრიზისის დაწყებისთანავე უარს ამბობდნენ იძულებით გადაადგილებული პირების მიღებაზე. 2015 წელს მათ უარყვეს ევროკავშირის მიერ შეთავაზებული იმიგრაციული კვოტების სისტემა (Bachman, 2016). საპარლამენტო არჩევნებში ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მიგრაციიდან მომდინარე პრობლემებს და იცავდნენ ეროვნულ უსაფრთხოებას. (PiS, 2019)

ევროპის ფედერალიზაციის უარყოფა. ორივე ევროსკეპტიკული პარტია კატეგორიულად ეწინააღმდეგება ევროკავშირის ფედერალიზაციას და ცენტრალიზებულ ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. „ალტერნატივა გერმანიისთვის“ წინააღმდეგია ე. წ. „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნისა, რომლისგანაც გასვლა შეუძლებელი იქნება. პარტია მიზნად ისახავს სუვერენული გერმანიის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება თავისი მოქალაქეებისთვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების გარანტი (АдГ, 2017). „კანონი და სამართალი“ ასევე ეწინააღმედეგება ევროპული ზესახელმწიფოს ან ფედერაციის შექმნას. პარტია არ მიესალმება ორგანიზაციის იმ პოლიტიკას, რომელიც არ შედის პოლონურ ეროვნულ ინტერესებში ან საფრთხეს უქმნის მის სუვერენიტეტს (Szczerbiak, 2019) (PiS, 2019)

ეროვნული სუვერენიტეტის დაცვა. როგორც ნაციონალისტური პარტიები, „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და „კანონი და სამართალი“ ხშირად ეროვნულ სუვერენიტეტსა და სახელმწიფოს დაცვაზე აპელირებენ. მსგავს ლოზუნგებს პოპულისტური სახე აქვს. გერმანელი ევროსკეპტიკოსები თავისი ქვეყნის სუვერენულ სახელმწიფოდ შენარჩუნებაზე ამახვილებენ ყურადღებას. სასტიკად ეწინააღმდეგებიან ზეეროვნულ ინსტიტუტებსა და ევროპის ფედერალიზაციის გეგმას. პარტია ადანაშაულებს ევროკავშირს წევრი-ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტის დაკნინებაში (АдГ, 2017) (AfD, 2021). ასეთივე პოზიცია აქვს პარტია „კანონი და სამრთალს“. მეტიც, მისმა ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ექს-პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ ჩამოაყალიბა პარტიის ოთხი ძირითადი პრინციპი: სუვერენიტეტი, თავისუფლება, სოლიდარობა და სიმართლე (PiS, 2019). პარტიისთვის საკვანძო ღირებულებას საკუთარი სუვერენული ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს, რომლის გარეშე სხვა ღირებულებების განხორციელება შეუძლებელია (PiS, 2021)

დამოკიდებულება ევროს ვალუტისადმი. ორივე პარტია უარყოფს ევროზონას და მხარს უჭერს ეროვნულ ვალუტას. „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მიიჩნევს, რომ ქვეყანამ უნდა დატოვოს ევროზონა, რომ მასში წევრობა არაფრის მომტანია გერმნიისთვის. ასევე, იგი ემხრობა გერმანული მარკის დაბრუნებას, რომელიც თავიდან აიცილებს სავალუტი კრიზისს (AfD, 2021). პარტია საერთო

ევროპული ვალუტის შემოღებას შეცდომად მიიჩნევს. მათი აზრით, სავალუტო კავშირი სავალო კავშირად იქცა. აღსანიშავია ისიც, რომ პარტია ხალხს სთავაზობს ქვეყანაში პლებისციტის ჩატარებას გერმანიის ევროზონიდან გასვლასთან დაკავშირებით (AfD, 2021). გერმანიისგან განსხვავებით, პოლონეთს აქვს თავისი ვალუტა - ზლოტი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა უკვე დიდი ხანია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, მას არასდროს ნდომებია ევროზონაში გაერთიანება. „კანონი და სამართალი“ არ ღალატობს ამ პოლიტიკას და ევროს ეწინააღმდეგება. პარტია მიიჩნევს, რომ იგი საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ ინტერესებს (PiS, 2019).

ევროკავშირში დარჩენა VS ევროკავშირიდან გასვლა. ანტიიმიგრაციის, ევროპის ფედერალიზაციის უარყოფის, ეროვნული სუვერენიტეტის დაცვისა და ევროს ვალუტისადმი დამოკიდებულებები შესაძლოა ამ პარტიებს შორის მსგავსია და მისი გათვალისწინებით ვერ ხერხდება ტაგარტისა და შჩერბიაკის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის გამოყენება, თუმცა ევროკავშირში დარჩენის საკითხი ნამდვილად არის ის საკვანძო ნაწილი, რაც განასხვავებს მათ ევროსკეპტიციზმს. „ალტერნატივას გერმანიისთვის“ ევროკავშირიდან გასვლა სურს, ხოლო „კანონი და სამართლის“ პარტია არ ისახავს მიზნად ორგანიზაციის დატოვებას. ამ შემთხვევაში უკვე შესაძლებელია ტაგარტისა და შჩერბიაკის ევროსკეპტიციზმის, „რბილ“ და „მყარ“ განზომილებებად კლასიფიკაციას დავეყრდნოთ და მათ მოვარგოთ პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ, შესაბამისად დავინახავთ რომ „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელსაც სურს ევროკავშირის დატოვება მიეკუთვნება მყარ ევროსკეპტიკულ პარტიათა სიას, ხოლო „კანონი და სამართალი“ კი რადიკალური პოზიციის არ ქონისა და ორგანიზაციაში დარჩენის გამო რბილ ევროსკეპტიკულ პარტიათა ბანაკს. 2021 წლამდე „ალტერნატივა გერმანიისთვის“ კლასიკური „რბილი ევროსკეპტიკული“ პარტია იყო, რომელიც ბევრ საკითხში უპირისპირდებოდა ევროკავშირის ბიუროკრატიას, აკრიტიკებდა მიგრაციულ პოლიტიკას, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზებს, ფედერალიზაციის გეგმას, ევროზონასა და სხვა. პარტია სახელმწიფოს ორგანიზაციის რეფორმისა და გერმანიის ეროვნული ინტერესების დაცვისკენ მოუწოდებდა. 2017 წლის საარჩევნო პროგრამაში გარკვეული გაფრთხილება გაკეთდა მათი მხრიდან, რაც ითვალისწინებდა იმას, რომ თუ ევროკავშირის სისტემის ფარგლებში არ იქნებოდა გათვალისწინებული პარტიის მიერ შეთავაზებული საბაზისო რეფორმები, იგი ორგანიზაციიდან გასვლას ან ევროკავშირის დაშლას დაუჭერდა მხარს (АдГ, 2017). 2021 წელს საპარლამენტო არჩევნების პროგრამაში, პარტიამ მიზნად დაისახა ევროინტეგრაციის საბოლოო უარყოფა და ევროკავშირიდან სრული გასვლა. ამასთანავე მათ განაცხადეს, რომ მანამდე შეთავაზებულ რეფორმებს განხორციელების საშუალება უკვე აღარ ჰქონდა. ამჟამად, „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მხარს უჭერს ახალი ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნას. ამგვარად, იგი „მყარ ევროსკეპტიკულ“ პარტიად ჩამოყალიბდა. (AfD, 2021). რაც შეეხება „კანონსა და სამართალს“ იგი დაარსებისთანავე, გერმანული პარტიის მსგავსად ბევრ საკითხში უპირისპირდებოდა ევროკავშირს, თუმცა მას არასდროს არ ჰქონდა ორგანიზაციიდან გასვლის სურვილი. „პოლონეთი - ევროპის გულია“, - წერია პარტიის 2019 წლის საპარლამენტო არჩევნების პროგრამაში. პოლონეთის წევრობა ევროკავშირში ისტორიულია პოლონური

ნაციისთვის. თუმცა დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია ისიც, რომ „კანონი და სამართალი“ ევრორეალისტების პარტიაა, შესაბამისად ევროკავშირში მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა ავნებდეს პოლონეთის სუვერენიტეტს, რადგან პარტიისთვის ეროვნული ინტერესები უპირველესია (PiS, 2019). რბილი ევროსკეპტიკოსები აკრიტიკებენ ევროკავშირის კონკრეტულ ასპექტებს და მოითხოვენ რეფორმირებას, მყარი ევროსკეპტიკოსები კი სრულიად უარყოფენ ევროინტეგრაციას და ხშირად ორგანიზაციას დაშლისკენ მოუწოდებენ. "ალტერნატივა გერმანიისთვის" ევროკავშირის რეფორმირება ამჟამად აღარ წარმოადგენს პერსპექტივას. პარტია უარყოფს ამის მცდელობას და მიზნად ისახავს ორგანიზაციიდან საბოლოოდ გასვლას (AfD, 2021). "კანონი და სამართლის" პარტიას არ სურს ევროკავშირიდან გასვლა, თუმცა იგი ყოველთვის ითვალისწინებს სახელმწიფო ინტერესებს და არასდროს არ ემხრობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მიგრაცია. იგი ევროკავშირის მიმართ ოპოზიციურადაა განწყობილი. პარტია აღნიშნავს, რომ ევროინტეგრაციამ თავის საბოლოო წერტილს მიაღწია და ზეეროვნული ინსტიტუტების გაძლიერება ან ფედერალიზაცია საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტის არსებობას. (PiS, 2019). ევროკავშირიდან გასვლა ან დარჩენა ტაგარტისა და შჩერბიანკის კლასიფიკაციის მიხედვით, პირდაპირ მიუთითებს მათ მყარ თუ რბილ ევროსკეპტიკულ პოზიციას. თუმცა მის გარდა არსებობს სხვა რიგი ფაქტორებიც რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვასხვავოთ კონკრეტული ევროსკეპტიკული პოლიტიკური პარტიების ევროსკეპტიკულობა. ესენია ეკონომიკური ფაქტორის გავლენა ქვეყნის ევროკავშირში წევრობაზე, დამოკიდებულება რუსეთთან ურთიერთობასა და ორგანიზაციის გაფართოებაზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ეკონმიკური დამოკიდებულება ორგანზაციაზე VS ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ევროკავშირის ახალ წევრ-სახელმწიფოებში ძირითადად დომინირებენ რბილი ევროსკეპტიკული პარტიები, ვიდრე მყარი. ეს აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპას სჩვევია. ასეთია "კანონი და სამართალი" პოლონეთში, "სამოქალაქო დემოკრატიული პარტია" ჩეხეთში, "მამული და თავისუფლება" ლატვიაში. პოლონური პარტიის წევრობა ევროკავშირში სარგებლიანობაზეა დაფუძნებული. მას სურს ორგანიზაციიდან მოგების მიღება. ისევე, როგორც ახალი წევრები, პოლონეთს ევროკავშირიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სურვილი ამოძრავებს. გერმანია ევროკავშირის ეკონომიკური გენერატორია. მას ორგანიზაციის ბიუჯეტში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს. 2011 წელს გერმანიამ ფაქტობრივად გადაარჩინა საბერძნეთის ეკონომიკა, თუმცა ორგანიზაციის წევრისთვის გაწეული დახმარება არ მოეწონა ქვეყნის ულტრამემარჯვენეებს. პარტიას "ალტერნატივა გერმანიისთვის" არ სურს, რომ მათი ქვეყანა იყოს სხვა ქვეყნების მკვებავი და გადამრჩენი, რადგან ეს აზარალებს მათივე ეკონომიკას, რასაც არ მოსდევს სარგებელი. ამიტომაც პარტია მყარ ევროსკეპტიკულ პოზიციაზე დგას.

თურქეთის გაწევრიანება VS უარი თურქეთის გაწევრიანებაზე. საკმაოდ განსხვავებულია პარტიების პოზიციები ორგანიზაციის გაფართოვების პერსპექტივასთან დაკავშირებით. პარტიას "ალტერნატივა გერმანიისთვის" მიაჩნია, რომ ევროინტეგრაციამ თავის პიკს მიაღწია და სხვა წევრების მიღება არ არის სასურველი. მათ განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება აქვს თურქეთის

გაწევრიანების მიმართ. ისევე, როგორც სხვა მყარი ევროსკეპტიკული პარტიები, იგი კატეგორიულად უარყოფს თურქეთთან მოლაპარაკებებს ორგანიზაციაში წევრობის შესახებ (AfD, 2021). "კანონი და სამართალი" პირიქით, მიესალმება ორგანიზაციის გაფართოებას ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) ხარჯზე (PiS, 2019). პარტია ასევე მხარს უჭერს ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას (Македонцев, 2021). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ევროკავშირის გაფართოების მოწინააღმდეგე გერმანული პარტია მყარი ევროსკეპტიციზმის მატარებელია, ხოლო გაფართოების მომხრე პოლონური პარტია კი მხოლოდ რბილი ევროსკეპტიციზმის.

დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. ბულგარეთის ექს-პრეზიდენტი როსენ პლევნელიევი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ რუსეთი არის აგრესიული სახელმწიფო, რომელიც ულტრამემარჯვენე პარტიების მხარდაჭერით ცდილობს ევროკავშირის ერთობის დარღვევას (lenta.ru, 2016). დღეს უკვე არავისთვის არაა სიახლე ის, რომ რუსეთის წამყვან პარტიებს აქვთ მჭიდრო მეგობრული კავშირები ევროპის ულტრამემარჯვენე პარტიებთან, რომლებიც მყარი ევროსკეპტიციზმით გამოირჩევიან. ხშირად რუსეთი მათ აფინანსებს. მაგალითად, 2014 წელს მარინ ლე პენის „ეროვნულმა ფრონტმა“ 11 მლნ ევროს კრედიტი მიიღო რუსული ბანკიდან. ასევე პარტიის ლიდერი ცნობილია თავისი სიმპათიებით პუტინის მიმართ და აღიარებს ანექსირებულ ყირიმს რუსეთის ტერიტორიად (Gatehouse, 2017). ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსეთის ხელისუფლებას აქვს დიდი გავლენა გერმანიის ულტრამემარჯვენე პარტიაზე. ზოგი მის დაფინანსებაზეც საუბრობს (ХИММЕЛЬСПАХ & КАМИНСКИЙ, 2021) „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ღია პრორუსული რიტორიკით ხასიათდება, რადგან იგი ეწინააღმდეგება რუსეთის მიმართ დაკისრებულ სანქციებს და მხარს უჭერს მასთან ეკონომიკური თანამშრომლობის აქტივიზაციას (AfD, 2021). პოლონურ „კანონსა და სამართალს“ კი სრულიად სხვა პოზიცია აქვს რუსეთთან მიმართებაში. პარტია თავის პროგრამაში ხშირად ხაზს უსვამს რუსული იმპერიალიზმისგან მომდინარე საფრთხეებს, მის აგრესიულ პოლიტიკას მეზობლების მიმართ. პარტია მხარს უჭერს რუსეთისთვის სანქციების დაკისრებას და თავადაც უერთდება ამგვარ პოლიტიკას (PiS, 2019). აღნიშნულიდან კარგად ჩანს ის ფაქტი, რომ პარტიას „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ახასიათებს მყარი ევროსკეპტიციზმი, დღესდღეობით არ არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც პრორუსულობასთან ერთად პარალელურად არ იზიარებდეს მყარ ევროსკეპტიკულ დამოკიდებულებას. ამაზე ჩვენ მიერ განხილული ავტორი, გ. სილაგაძეც საუბრობს (Silagadze, 2021), ოღონდ ქართული პარტიების მაგალითზე, რომლის განზოგადებაც გარკვეულწილად შესაძლებელი არის მთელ პარტიათა ერთობლიობაზეც. რაც შეეხება “კანონსა და სამართალს“, მისი ანტირუსული დამოკიდებულება ერთ-ერთი ფაქტორია იმისა, რომ იგი არ მიეკუთვნება ტაგარტისა და შჩერბიაკის მიერ კლასიფიცირებულ მყარ ევროსკეპტიკულ პარტიათა ბანაკს, ის მხოლოდ რბილად ევროსკეპტიკულია, ესეც იმიტომ, რომ ანტიიმიგრაციული დამოკიდებულებისა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ვერ გავექცევით მათ ევროსკეპტიკულობას.

დასკვნა

პ. ტაგარტისა და ა. შჩერბიაკის კონცეფცია ყველაზე უკეთ ერგება საკვლევ პოლიტიკურ პარტიებს, რადგან კარგად ხსნის მათ ევროსკეპტიკულ პოზიციას და შესაძლებლობას იძლევა თავად ევროსკეპტიკულ პარტიებში მოხერხდეს მათი ევროსკეპტიციზმისადმი დამოკიდებულებებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენა (იგულისხმება „რბილი“ და „მყარი“ ევროსკეპტიკული დამოკიდებულება). კვლევიდან გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და „კანონი და სამართლის“ ევროსკეპტიკული დამოკიდებულება. ესენია ბოლო წლებში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები, რამაც გამოიწვია გაფართოებასთან, ეკონომიკასთანა და მიგრაციასთან დაკავშირებული კრიზისი. საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე პარტიის პოზიცია მთელი რიგი საკითხების მიმართ იდენტურია (ევრო, ანტიფედერალიზაცია, მიგრაცია, ეროვნული სუვერენიტეტი), თუმცა არსებობს რამდენიმე ასპექტი, რომელიც ჰყოფს “ალტერნატივა გერმანიისთვის” და “კანონი და სამართალს” მყარ და რბილ ევროსკეპტიკულ პარტიებად. უპირველეს ყოვლისა ეს არის ორგანიზაციაში წევრობის საკითხი. გერმანულმა პარტიამ 2021 მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, რომ მან უნდა დატოვოს ევროკავშირი, ხოლო პოლონური პარტიის პოზიცია პრაგმატიზმს ეფუძნება. ის მზად არის ითანამშრომლოს ევროკავშირთან ეროვნული ინტერესებისა და მოგების გათვალისწინებით. “ალტერნატივა გერანიისთვის” დამახასიათებელი რადიკალიზმი და ხისტი პოზიცია გამორიცხავს ყველა სახის ევროინტეგრაციას, რასაც ვერ ვიტყვით “კანონსა და სამართალზე”, რადგან ის არ ამბობს უარს ევროკავშირთან თანამშრომლობაზე, თუმცა რეფორმირებისკენ მაინც მოუწოდებს მას. პოლონური „კანონი და სამართალისთვის“, „ალტერნატივა გერმანიისგან“ განსხვავებით მატერიალური კეთილღეობის მისაღებად სასარგებლოა ევროკავშირთან და ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, მაგრამ ამით არ უნდა ირღვეოდეს მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, სუვერენიტეტის ცნება.

გამოყენებული ლიტერატურა

Achim Goerres, D. C. (n.d.). The Electoral Supporter Base of the Alternative for Germany. . *Swiss Political Science Review*, 246-269.

AfD. (2021). *PROGRAMM 2021.* Retrieved from https://www.afd.de/themen/

AfD. (2021). *Unser Programm zur Bundestagswahl 2021.* Retrieved from https://www.afd.de/wp-content/uploads/sites/111/2021/06/20210611_AfD_Programm_2021.pdf

Apodaca, A. (2013). *Euroscepticism.* Cardiff University.

Bachman, B. (2016, JUNE 16). *Diminishing Solidarity: Polish Attitudes toward the European Migration and Refugee Crisis*. Retrieved from https://www.migrationpolicy.org/article/diminishing-solidarity-polish-attitudes-toward-european-migration-and-refugee-crisis

Britannica. (2022). *Law and Justice*. Retrieved from https://www.britannica.com/place/Poland/The-constitution-of-1997#ref967178

Chase, J., & Goldenberg, R. (2019, 10 28). *AfD: What you need to know about Germany's far-right party*. Retrieved from https://www.dw.com/en/afd-what-you-need-to-know-about-germanys-far-right-party/a-37208199

Conti, N. &. (2012). The multi-faceted nature of party-based Euroscepticism. *Acta Politica*, 91-112.

Dakowska, D. (2010). Whither Euroscepticism? The uses of European integration by Polish Conservative and radical parties. *Perspectives on European Politics and Society*, 254-272.

Flood, C. (2002). THE CHALLENGE OF EUROSCEPTICISM. *The European Union Handbook* , 73-84.

Gatehouse, G. (2017, 04 3). *Marine Le Pen: Who's funding France's far right?* Retrieved from https://www.bbc.com/news/world-europe-39478066

HISTORY. (2018, 06 10). *Arab Spring*. Retrieved from https://www.history.com/topics/middle-east/arab-spring

Kaniok, P. (2009). Party Based Euroscepticism: Opposing the Commission or the European Integration? *Contemporary European Studies*, 25-45.

Kopecky, P., & Mudde , C. (2002). Kopecky P. & Mudde C. *European Union Politics, 3/3*, 350.

Lees, C. (2018). The 'Alternative for Germany': The rise of right-wing populism at the heart of Europe. *Politics*, 295-310.

lenta.ru. (2016, 12 27). *Болгарский президент обвинил Москву в попытках разрушить ЕС изнутри*. Retrieved from https://lenta.ru/news/2016/12/27/moscow_secret_plot/

Markowski, R. &. (2010). Euroscepticism and the emergence of political parties in Poland. *Party politics*, 523-548.

Mudde, C. (2012). The comparative study of party-based Euroscepticism: the Sussex versus the North Carolina School. *East European Politics*, 193-202.

PiS. (2019). *PROGRAM Prawa i Sprawiedliwości 2019.* Retrieved from https://pis.org.pl/files/Program_PIS_2019.pdf

PiS. (2021). *Prawo i Sprawiedliwość 2021*. Retrieved from https://pis.org.pl/partia/prawo-i-sprawiedliwosc

Serricchio, F. (2013). *Euroscepticism and the Global Financial Crisis.* JCMS Journal of Common Market Studies.

Silagadze, G. (2021). *Eurosceptic,Therefore,Pro-Russian?* Policy Memo.

Stockemer, D. (2019). *The "Refugee Crisis," Immigration Attitudes, and Euroscepticism.* International Migration Review.

Szczerbiak, A. (2019, 10 1). *Why is Poland's Law and Justice party still so popular?* Retrieved from https://blogs.lse.ac.uk/europpblog/2019/10/01/why-is-polands-law-and-justice-party-still-so-popular/

Tabatadze, S. (2021). Party-Based Euroscepticism:The Case of Georgia. *Demokratizatsiya*.

Taggart , P., & Szczerbiak , A. (2002). The Party Politics of Euroscepticism in EU Member and Candidate States. *Sussex European Institute Working Paper 51. Brighton*, 1-45.

Taggart, P., & Szczerbiak , A. (2001). Parties, Positions and Europe: Euroscepticism in the EU Candidate States of Central and Eastern Europe. *Sussex European Institute Working Paper 46*, 1-39.

Torreblanca, J., & Leonard , M. (2013). *The Continent-Wide Rise of Euroscepticism.* London: Policy Memo of European Council on Foreign.

АдГ. (2017, 04 18). *ПРОГРАММА ДЛЯ ГЕРМАНИИ.* Retrieved from https://www.afd.de/wp-content/uploads/sites/111/2017/04/2017-04-18_afd-grundsatzprogramm_russisch_web.pdf

Андрійчук, О. (2005). Євроскепса як невід'ємна складова Європейської Унії. *Політичний менеджмент, 2005, № 3*, 165-168.

Артемова, Е. (2014). ЕВРОСКЕПТИЦИЗМ КАК ФАКТОР ФОРМИРОВАНИЯ НОВОГО ПОЛИТИКО-ИДЕОЛОГИЧЕСКОГО ПРОСТРАНСТВА ЕС. *Вестник РГГУ. Серия: Политология. История. Международные отношения*, 240-247.

Вайнштейн, Г. (2015). ЕВРОСКЕПТИЦИЗМ: НОВЫЙ ФАКТОР ЕВРОПЕЙСКОЙ ПОЛИТИКИ. . *МИРОВАЯ ЭКОНОМИКА И МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ, 2015, № 8*, 40–48 . Retrieved from https://www.imemo.ru/index.php?page_id=1248&file=https://www.imemo.ru/files/File/magazines/meimo/08_2015/40-48_VAINSHTEIN

Лукке, Б. (2022, 05 10). *Партия "Альтернатива для Германии"*. Retrieved from https://p.dw.com/p/1DB3G

Македонцев, П. (2021, 06 13). *Польша поддерживает вступление Турции в ЕС — СМИ*. Retrieved from https://eadaily.com/ru/news/2021/07/13/polsha-podderzhivaet-vstuplenie-turcii-v-es-smi

Узнародов, И. (2015). ЕВРОСКЕПТИЦИЗМ ПОСЛЕ КРИЗИСА. *ЕВРОПЕЙСКИЙ ПРОЦЕСС: СТРАНЫ И РЕГИОНЫ*, 26-36.

Хазипов, И. И. (2020). Миграционные процессы в Европе и феномен роста влияния правых политических партий. *Казанский вестник молодых учёных*, 121-130.

ХИММЕЛЬСПАХ, А., & КАМИНСКИЙ, К. (2021, 11 18). *«Альтернатива для Германии»*. Retrieved from https://www.dekoder.org/ru/gnose/alternativa-dlya-germanii#fuss18

კანდელაკი, ს. (2021). *ევროსკეპტიციზმი და რელიგია ქართველი ულტრამემარჯვენეების პოლიტიკურ დღის წესრიგში.* თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.